უნივერსიტეტი კრიზისში: მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტების პერსპექტივა

თათია თურმანიძე

თამუნა ბერიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო გორგოძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თათია თურმანიძე

თამუნა ბერიძე

30.06.2025

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს გაანალიზოს, როგორ აღიქვამენ მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტები უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების როლს თანამედროვე სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის პირობებში. გარდა ამისა, კვლევის მიზანია სხვადასხვა აქტორის (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, დოქტორანტები, მაგისტრანტები და გარე აქტორები) შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესწავლა სტუდენტების როლთან მიმართებაში.

კვლევა დაფუძნებულია პრაქტიკის კვლევის დიზაინზე. მონაცემები შეგროვდა თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტების - ფოკუს-ჯგუფების, სიღრმისეული ინტერვიუებისა და თვითრეფლექსიის სესიის საშუალებით. დიაგნოსტიკური ეტაპის თანახმად გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტს დიდი როლი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გარდა ამისა, შედეგებში გამოიკვეთა კომუნიკაციის ნაკლებობა აქტორებს შორის, კომუნიკაციის სივრცის არარსებობა და არაკოორდინირებული ქმედებები.

კვლევის ინტერვენციის ეტაპზე ჩატარდა კონფერენცია: „უნივერსიტეტი კრიზისში: შიდა და გარე აქტორების პერსპექტივა“, რომელსაც ესწრებოდნენ აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები, გარე აქტორები და სამივე საფეხურის სტუდენტები. კონფერენციის ფარგლებში თითოეულმა მკვლევართა ჯგუფმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სხვადასხვა აქტორის ხედვები საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. შეფასების ეტაპზე განხორციელდა პანელური დისკუსია, სადაც მონაწილეობას იღებდნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, გარე აქტორები და სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები.

ინტერვენციის შედეგად გამოიკვეთა, რომ დღესდღეობით, გაურკვეველია უნივერსიტეტის როლი, რაც აქტორებს ხელს უშლით საკუთარი როლის გამოკვეთაში. განსასაზღვრია უნივერსიტეტის იდეა და როლი, რათა სწორი მოლოდინები შეიქმნას უნივერსიტეტის მიმართ და გამოიკვეთოს თითოეული აქტორის ფუნქცია. გარდა ამისა, აქტორებს შორის კომუნიკაციის დეფიციტია, თუმცა ისინი გამოხატავენ დისკუსიებში მონაწილეობის მზადყოფნას.

კვლევის პროცესში მოპოვებული მონაცემების ანალიზისა და გამოკვეთილი მიგნებების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ უნივერსიტეტში არსებული გამოწვევების გადაჭრას და საუნივერსიტეტო საზოგადოების გაძლიერებას, არამედ რჩევებს მოცემული პრაქტიკის კვლევის პროცესის გაგრძელებისთვის.

საძიებო სიტყვები: უნივერსიტეტი კრიზისში, უმაღლესი განათლება, უნივერსიტეტის როლი, საუნივერსიტეტო საზოგადოება, სოციო-პოლიტიკური კონტექსტი, შიდა აქტორები, გარე აქტორები, სტუდენტების აღქმა, სადისკუსიო სივრცე.

Abstract

This study aims to analyze how students in teacher education programs perceive the role of the university and the academic community within the current social and political context. Additionally, it explores the perspectives and attitudes of various stakeholders (including academic and administrative staff, doctoral and master's students, and external actors) regarding the role of students.

The research employs a practice-based design. Data were collected using qualitative methods — focus groups, in-depth interviews, and self-reflection sessions. The diagnostic phase revealed that the university plays a significant role in public life. The results also highlighted a lack of communication among stakeholders, the absence of a shared communication space, and uncoordinated actions.

During the intervention phase, a conference entitled "University in Crisis: Perspectives of Internal and External Actors" was held. It was attended by academic and administrative staff, external actors as well as students from all three academic levels. Each research group presented the perspectives of different actors on the research topic. In the evaluation phase, a panel discussion was conducted involving academic and administrative staff, external stakeholders, and students from various levels.

The intervention revealed that the university's role is currently unclear, making it difficult for stakeholders to define their own roles. It is essential to clarify the university's mission and function in order to establish realistic expectations and define the responsibilities of each actor. Although there is a lack of communication among stakeholders, they expressed a willingness to participate in discussions.

Based on the analysis of the data and the findings of the study, recommendations were developed. These aim not only to address the existing challenges within the university and strengthen the academic community, but also to provide guidance for the continuation of the practice-based research process.

Keywords: university in crisis, higher education, university role, academic community, socio-political context, internal actors, external actors, student perception, discussion space.

მადლობა

გვსურს გულწრფელი მადლიერება გამოვხატოთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის აკადემიური პერსონალის მიმართ, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ჩვენთან კვლევითი პროცესის თითოეულ ეტაპზე. ჩვენთვის მათი ჩართულობა და მხარდაჭერა ღირებული იყო. მათმა პროფესიონალიზმმა და კეთილგანწყობამ ხელი შეუწყო თანამშრომლური გარემოს შექმნას, რამაც არსებითად სასიამოვნო გახადა სამუშაო პროცესი.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს - სოფიო გორგოძეს. მისი მხარდაჭერა, დროული უკუკავშირი და ღირებული რჩევები კვლევის თითოეულ ეტაპზე მნიშვნელოვნად გვეხმარებოდა.

მადლიერებას გამოვხატავთ ჩვენი კურსელების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების მაგისტრანტების მიმართ, აქტიური თანამშრომლობისა და კვლევით პროცესში შეტანილი წვლილისთვის.

მადლობას ვუხდით ფოკუს-ჯგუფსა და ინტერვიუებში მონაწილე აქტორებს, კერძოდ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს, მასწავლებლის მომზადების პროგრამის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებს, ასევე, გარე აქტორებს, საკუთარი შეხედულებების დაფიქსირებისთვის.

ასევე, გვინდა მადლიერება გამოვხატოთ კონფერენციის სტუმრებსა და პანელური დისკუსიის მონაწილეების მიმართ დროის დათმობისა და საინტერესო მოსაზრებებისა თუ გამოცდილებების გაზიარებისთვის.